სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისა და შეფასების წესი სამართლის სკოლაში

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 19 მარტის N 11/21 ოქმით

ცვლილება დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2024 წლის 15 იანვრის 01/24 ოქმით

**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისა და შეფასების წესი სამართლის სკოლაში**

## მუხლი 1. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი

1.1. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი წარმოადგენს სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კვლევით კომპონენტს, რომლის განხორციელებაც დასტურდება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებით და მისი დაცვით (პრეზენტაცია, დისკუსია).

1.2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის მიზანია მაგისტრანტს ჩამოუყალიბოს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენის უნარი.

1.3. სამართლის სკოლაში სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისა და შეფასების მიმართ მოქმედებს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესები.

1.4. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი სრულდება მაგისტრანტის მიერ ინდივიდუალურად.

1.5. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი სრულდება სამაგისტრო პროგრამის სწავლების ენაზე. სამაგისტრო ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში, ნაშრომის ავტორმა ნაშრომის საბოლოო წარდგენისას უნდა წარმოადგინოს წინამდებარე დოკუმენტის 9.1.2 მუხლით გათვალისწინებული ნაშრომის მოკლე მიმოხილვის თარგმანი ქართულ ენაზე.

## მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ეტაპები

2.1. მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულება და მისი დაცვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

2.1.1. სამაგისტრო ნაშრომზე/პროექტზე აკადემიური რეგისტრაცია

2.1.2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სათაურის წარდგენა

2.1.3. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის წარდგენა და დაცვა

2.1.4. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის წარდგენა და დაცვა

2.1.5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წარდგენა და დაცვა

2.2. მაგისტრანტი, რომელიც აკადემიური რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ პერიოდში არ დარეგისტრირდება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კომპონენტზე, კარგავს მოცემულ სემესტრში აღნიშნული კომპონენტის შესრულების შესაძლებლობას.

2.3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2-მე-5 ქვეპუნქტების შესრულება უნდა განხორციელდეს შემდეგი ვადების დაცვით (ვადები აითვლება დამტკიცების/დაცვის შესაბამისი კვირის პირველი სამუშაო დღიდან):

| **ეტაპები** | **სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომაზე დამტკიცება/დაცვა** | **ხელმძღვანელისთვის და საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერისთვის წარდგენის ვადა** | **სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრებისთვის წარდგენის ვადა** |
|---|---|---|---|
| **სათაურის წარდგენა** | შესაბამისი სემესტრის მესამე კვირა | 7 კალენდარული დღით ადრე | 2 კალენდარული დღით ადრე |
| **კონცეფციის წარდგენა და დაცვა** | შესაბამისი სემესტრის მეხუთე კვირა | 5 კალენდარული დღით ადრე | 2 კალენდარული დღით ადრე |
| **წინასწარი განაცხადის წარდგენა და დაცვა** | შესაბამისი სემესტრის მეთერთმეტე კვირა | 6 კალენდარული დღით ადრე | 4 კალენდარული დღით ადრე |
| **ნაშრომის/პროექტის წარდგენა და დაცვა** | შესაბამისი სემესტრის მეცხრამეტე კვირა | 14 კალენდარული დღით ადრე | 5 კალენდარული დღით ადრე |

2.4. მაგისტრანტი, რომელიც არ შეასრულებს ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 და მე-5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ეტაპებს ამავე მუხლის მე-3 ქვეპუნქტით

დადგენილი ვადების დაცვით, კარგავს მოცემულ სემესტრში კომპონენტის შესრულების შესაძლებლობას.

## მუხლი 3. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კომპონენტზე რეგისტრაცია

3.1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების უფლება აქვს მაგისტრანტს, რომელსაც სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაგროვილი აქვს 78 კრედიტი და აკმაყოფილებს სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ სხვა წინაპირობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.2. სამაგისტრო ნაშრომზე/პროექტზე დარეგისტრირებულ მაგისტრანტებს სამართლის სკოლის მენეჯერი/ასისტენტი უგზავნის შეტყობინებას, შესაბამისი ვადისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, რომელთა დაცვითაც მაგისტრანტებმა სამართლის სკოლის შესაბამის მენეჯერს/ასისტენტს უნდა გაუგზავნონ ხელმძღვანელთან შეთანხმებული სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სავარაუდო სათაური, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, პირადი მეილისა და საკონტაქტო ნომრის მითითებით.

3.3. იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრანტი ჩათვლის, რომ საჭიროებს სკოლის მხრიდან კონსულტაციას სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სავარაუდო სათაურის და/ან ხელმძღვანელის არჩევასთან დაკავშირებით, იგი უფლებამოსილია მიმართოს სკოლას, რომელიც შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელთან ერთად, სტუდენტის ინტერესის გათვალისწინებითა და მისი მონაწილეობით, განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის სავარაუდო თემას და ხელმძღვანელს.

3.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალიწინებული კონსულტაციის შედეგად სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და სავარაუდო სათაურის შერჩევა უნდა განხორციელდეს იმავე ვადაში, რომელიც დადგენილია სამართლის სკოლის მიერ, ამ მუხლის 3.2 პუნქტის შესაბამისად.

3.5. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა ეხებოდეს სფეროს აქტუალურ პრობლემას, რომლის გამოკვლევაც რეალისტურია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ფარგლებში, პროგრამისთვის ხელმისაწვდომი მატერიალურ-ტექნიკური და აკადემიური რესურსის გათვალისწინებით.

3.6. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სათაურის დაზუსტება შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის ეტაპის ჩათვლით.

**მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს შემადგენლობა**

4.1. სკოლის საბჭო სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემის გათვალისწინებით განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს შემადგენლობას, რომელშიც შედიან საბჭოს თავჯდომარე, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტი, ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი და ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაშრომის/პროექტის თანახელმძღვანელი.

4.2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს თავჯდომარე, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტი და ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სათანადო კვლევითი ან/და პრაქტიკული გამოცდილება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემის სფეროში.

4.3. სკოლის საბჭო უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან/და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს დასაბუთებული წარდგინებით მოიწვიოს თანახელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს მაგისტრის ან დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სათანადო კვლევითი ან/და პრაქტიკული გამოცდილება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემის სფეროში.

4.4. მაგისტრანტს უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სკოლის დირექტორს და მოითხოვოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრის აცილება.

4.5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრს უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სკოლის დირექტორს და მოითხოვოს თვითაცილება.

4.6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სკოლის საბჭო უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრის ცვლილებას.

**მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს საქმიანობა**

5.1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭო:

5.1.1. საბჭოს პირველ სხდომაზე ამტკიცებს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სათაურს;

5.1.2. ეცნობა სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციას და საბჭოს მეორე სხდომაზე წინამდებარე დოკუმენტის 7.5 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად გასცემს რეკომენდაციებს;

5.1.3. ეცნობა სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარ განაცხადს და საბჭოს მესამე სხდომაზე წინამდებარე დოკუმენტის 8.6 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად გასცემს რეკომენდაციებს.

5.1.4. ეცნობა სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს, საბჭოს მეოთხე სხდომაზე ესწრება ნაშრომის/პროექტის დაცვას. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით წინამდებარე დოკუმენტის 10.2 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად ექსპერტისა და საბჭოს თავჯდომარის მიერ.

5.2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება უნდა განხორციელდეს წინამდებარე დოკუმენტის 2.3 მუხლით დადგენილი ვადების შესაბამისად; ვადების დარღვევის შემთხვევაში, მაგისტრანტს გაცდენილი ვადა აუნაზღაურდება.

5.3. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომა ინიშნება საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერის მიერ წინამდებარე დოკუმენტის 2.3 მუხლით დადგენილი ვადების შესაბამისად და აღნიშნული წინასწარ ეცნობება მაგისტრანტს და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრებს.

5.4. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომები იმართება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.

5.5. მაგისტრანტი, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრები და საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი ვალდებულნი არიან დაესწრონ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომებს.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს რომელიმე წევრი ვერ მონაწილეობს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომაში

უნივერსიტეტს ტერიტორიაზე, უზრუნველყოფილ იქნება მისი დისტანციური ჩართვა იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელს არ შეუშლის სხდომის პროცესში მის სათანადო მონაწილეობას.

5.7. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის 1-ელ-მე-3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სხდომებზე სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრის გამოუცხადებლობა, არ წარმოადგენს სხდომის გადადების საფუძველს იმ პირობით, რომ სხდომას ესწრება საბჭოს წევრების უმრავლესობა. გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საბჭოს წევრი ვალდებულია თავისი წერილობითი მოსაზრება სხდომამდე მიაწოდოს საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს.

5.8. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მე-4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხდომაზე სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრის გამოუცხადებლობა წარმოადგენს სხდომის გადადების საფუძველს.

5.9. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერის სხდომაზე დაუსწრებლობა წარმოადგენს სხდომის გადადების საფუძველს.

5.10. მაგისტრანტის სამაგისტრო სწავლების დებულების თავი VI, 4.2 მუხლის საპატიო მიზეზით სხდომაზე დაუსწრებლობა წარმოადგენს სხდომის გადადების საფუძველს.

5.11. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს თითოეული სხდომის ოქმის შედგენას წინამდებარე დოკუმენტის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ფორმებით და ათი კალენდარული დღის ვადაში მაგისტრანტისა და საბჭოს წევრებისთვის გაცნობას.

## მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი

6.1. მაგისტრანტი უფლებამოსილია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მიიღოს კონსულტაცია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელისგან ან/და თანახელმძღვანელისაგან.

6.2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია, მაგისტრანტის მოთხოვნის შესაბამისად, გაუწიოს მას კონსულტაცია წინასწარ შეთანხმებული ფორმით.

6.3. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია მიაწოდოს მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომზე/პროექტზე მუშაობის თითოეული ეტაპის შესაბამისი რეკომენდაციები შემდეგი ვადების დაცვით:

| ეტაპები | ხელმძღვანელის მიერ მაგისტრანტისთვის რეკომენდაციების წარდგენა (ვადა აითვლება წინამდებარე დოკუმენტის 2.3 მუხლის შესაბამისად მაგისტრანტის მიერ ნამუშევრის ხელმძღვანელისთვის წარდგენის დღიდან) |
|---|---|
| სათაურის წარდგენა | 2 კალენდარული დღე |
| კონცეფციის წარდგენა და დაცვა | 2 კალენდარული დღე |
| წინასწარი განაცხადის წარდგენა და დაცვა | 2 კალენდარული დღე |
| ნაშრომის/პროექტის წარდგენა და დაცვა | 5 კალენდარული დღე |

6.4. მაგისტრანტი უფლებამოსილია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის საბჭოსთვის წარდგენამდე გაითვალისწინოს ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციები.

6.5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომზე/პროექტზე მუშაობის დაწყებისთანავე დარეგისტრირდეს Turnitin-ის პროგრამაში და გამოიყენოს ნაშრომის/პროექტის შემოწმების პროცესში.

6.6. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წარმოდგენის შემდეგ ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია გასცეს წერილობითი დასკვნა სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობის და პლაგიატის შესახებ, რომელიც ეცნობება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს. აღნიშნული დასკვნა არ წარმოადგენს მაგისტრის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვაზე დაშვების წინაპირობას.

6.6. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ ამ მუხლის მე-2, მე-3, მე-5 პუნქტებით გათვალიწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მაგისტრანტმა უნდა მიმართოს სკოლის დირექტორს.

6.7. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი უფლებამოსილია საპატიო მიზეზის არსებობისას დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სკოლის დირექტორს მისი ჩანაცვლების მოთხოვნით.

6.8. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული მიმართვის/შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სკოლის საბჭო უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ცვლილებას.

**მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფცია**

7.1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფცია უნდა მოიცავდეს: პრობლემას/საკითხს და ჰიპოთეზას, მისი აქტუალობის აღწერას, ნაშრომის/პროექტის სავარაუდო სტრუქტურას, შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, კვლევის სავარაუდო მეთოდებს.

7.2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 2000 სიტყვას.

7.3. მაგისტრანტი უფლებამოსილია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის პრეზენტაცია წარუდგინოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

7.4. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის პრეზენტაციისთვის მაგისტრანტს ეძლევა 5-7 წუთი.

7.5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭო კონცეფციის ეტაპზე გასცემს რეკომენდაციებს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

| **კომპონენტი** | **კრიტერიუმი** |
|---|---|
| პრობლემის/საკითხის დასმა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, აქტუალობის აღწერა, სავარაუდო სტრუქტურა | საკითხი აქტუალური და დასაბუთებულია; ჰიპოთეზა ნათლადაა ფორმულირებული, თეორიულად შემოწმებადია და იძლევა კვლევის |

| | |
|---|---|
| | შესაძლებლობას; მიზნები და ამოცანები კვლევისათვის რელევანტურია სავარაუდო სტრუქტურა შემოთავაზებულია |
| შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა | შერჩეული წყაროები და ლიტერატურა რელევანტურია საკვლევი თემატიკისთვის |
| კვლევის სავარაუდო მეთოდები | კვლევის მეთოდები ჰიპოთეზისათვის რელევანტურია, არჩევანი დასაბუთებულია და იძლევა მისი შემოწმების საშუალებას. |

**მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადი**

8.1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადი უნდა მოიცავდეს: ნაშრომის/პროექტის სტრუქტურას, პრობლემას/საკითხს და ჰიპოთეზას, მათი აქტუალობის დასაბუთებასა და მათ ფართო მიმოხილვას არსებული შეხედულებებისა და ლიტერატურის ანალიზით, კვლევის მეთოდოლოგიას.

8.2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 6000 სიტყვას.

8.3. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადი შესრულებული უნდა იყოს წინამდებარე დებულების მე-13 მუხლით განსაზღვრული აკადემიური სტილის შესაბამისად.

8.4. მაგისტრანტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის პრეზენტაცია წარუდგინოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

8.5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის პრეზენტაციისთვის მაგისტრანტს ეძლევა 10-12 წუთი.

8.6. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭო წინასწარი განაცხადის ეტაპზე გასცემს რეკომენდაციებს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

| კომპონენტი | კრიტერიუმი |
|---|---|

| | |
|---|---|
| საკითხის დასმა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, ნაშრომის სტრუქტურა | ტერმინები და ცნებები სრულად და მკაფიოდაა განსაზღვრული; კვლევის მოსალოდნელი შედეგები საინტერესოა როგორც აკადემიური წრისთვის, ისე კონკრეტული სფეროს წარმომადგენლებისთვის; ნაშრომის სტრუქტურა შემუშავებულია. |
| შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის ანალიზი | შერჩეული ლიტერატურის ანალიზი არის სრული და კრიტიკული; განხილული ნაშრომების ანალიზში ხაზგასმულია ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულებები და განხილულია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები; განხილულ ნაშრომთა რაოდენობა საკმარისია საკვლევი სფეროს სრულფასოვანი ანალიზისთვის |
| კვლევის მეთოდოლოგია | კვლევის საკითხისათვის საჭირო ინფორმაციის/წყაროს მოძიების ხერხები განსაზღვრული და სანდოა; კვლევის შერჩეული მეთოდების კრიტიკული ანალიზი, მოძიებული პირველადი და მეორადი წყაროები შეესაბამება საკვლევ თემას; მონაცემებისა და საილუსტრაციო მასალები შეესაბამება კვლევის ჰიპოთეზას |
| წერილობითი ტექსტი | ლექსიკა მრავალფეროვანია; სინტაქსური კონსტრუქციები გამართულია; სტილი ადეკვატურია; ტექსტი მკაფიოდაა სტრუქტურირებული |
| პრეზენტაცია | საპრეზენტაციო ტექსტი ლაკონური და მკაფიოდ სტრუქტურირებულია; პრეზენტაციის ვიზუალური მხარე თავსებადია პრეზენტაციის ტექსტუალურ |

| | |
|---|---|
| | ნაწილთან; პრეზენტატორი თავისუფლად ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან; პრეზენტაციის და დისკუსიის მანერა შეესაბამება ეთიკურ და აკადემიურ სტანდარტებს |
| დისკუსია | საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხი ადეკვატური, ამომწურავი და დასაბუთებულია. |

**მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა**

9.1. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

9.1.1. თავფურცელი

9.1.2. მოკლე მიმოხილვა

9.1.3. სარჩევი

9.1.4. ნაშრომში მოყვანილი ცხრილების, ნახატების და ილუსტრაციების ჩამონათვალი (მათი არსებობის შემთხვევაში)

9.1.5. ნაშრომში გამოყენებული შემოკლებების ჩამონათვალი (არასავალდებულო)

9.1.6. ნაშრომში გამოყენებული სიმბოლოების ჩამონათვალი (არასავალდებულო)

9.1.7. შესავალი

9.1.8. ნაშრომის ძირითადი ტექსტი

3.1.9. დასკვნა (რეკომენდაციები - მათი არსებობის შემთხვევაში)

3.1.10. გამოყენებული ლიტერატურისა და ციტირებული ნაშრომების სია

3.1.11. ცხრილები, დანართ(ებ)ი, ლექსიკონი (მათი არსებობის შემთხვევაში)

3.1.12. პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და ტერმინთა საძიებელი (არასავალდებულოა)

9.2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სტრუქტურის თითოეული კომპონენტი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან და მისი სათაური (მაგ.: სარჩევი, დასკვნა და ა.შ.) უნდა იყოს მოთავსებული ფურცლის შუაში.

9.4. თავფურცელი შეიცავს ნაშრომის სრულ სათაურს, ავტორის სახელს და გვარს, უნივერსიტეტის და სკოლის დასახელებას, რომელი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლადაა ნაშრომი წარდგენილი, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს, ნაშრომის შესრულების ადგილს და თარიღს.

9.5. მიმოხილვაში მოკლედ უნდა დასახელდეს პრობლემა, წარმოჩნდეს კვლევის მთავარი მიზანი, კვლევის ობიექტი, შედეგები და აღმოჩენები. მიმოხილვა არ უნდა აღემატებოდეს 200 სიტყვას. წერის დროს გამოყენებულ უნდა იყოს წარსული დრო. პირველი სტრიქონი აბზაცით არ გამოიყოფა.

9.6. სარჩევის მარცხენა სვეტში ჩამოთვლილ უნდა იქნეს ნაშრომის თავებისა და ქვეთავების დასახელებები. ყოველი თავის ან ქვეთავის დასახელების გასწვრივ, მარჯვენა სვეტში მიეთითება თავის ან ქვეთავის საწყისი გვერდი. სარჩევი იბეჭდება ერთ ბწკარიანი შუალედით (single spacing).

9.7. ნაშრომში მოყვანილი ცხრილების, დიაგრამების, ილუსტრაციების და ა.შ. ჩამონათვალის მარცხენა სვეტში ჩამოთვლილია ნუმერაცია (თითოეული მათგანი ინომრება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად) და თითოეული მათგანის გასწვრივ, მარჯვენა სვეტში მიეთითება საწყისი გვერდი. ცხრილების, დიაგრამების, ილუსტრაციების და ა.შ. ჩამონათვალი იბეჭდება ერთ ბწკარიანი შუალედით (single spacing).

9.8. ნაშრომში გამოყენებული შემოკლებების ჩამონათვალი შეიცავს იმ შემოკლებების, განმარტებების ჩამონათვალს, რომელიც გამოყენებულია ნაშრომის ტექსტში.

9.9. ნაშრომში გამოყენებული სიმბოლოების ჩამონათვალი შეიცავს სიმბოლოების განმარტებების ჩამონათვალს, რომელიც გამოყენებულია ნაშრომის ტექსტში.

9.10. ძირითადი ტექსტი შედგება შესავალი და ძირითადი ნაწილებისგან.

9.10.1. შესავალი ნაწილი მოიცავს: წარმოაჩენს საკვლევი საკითხის აქტუალობას, სამუშაო ჰიპოთეზას, ნაშრომის შესრულების მიზანს, დასმულ ამოცანებს, გამოყენებული მეთოდების აღწერას, ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას.

9.10.2. ძირითადი ნაწილი მოიცავს: ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევის შედეგების აღწერას და ანალიზს, სამუშაო ჰიპოთეზის დასაბუთებას და არგუმენტაციას.

9.10.3. ძირითადი ნაწილის დაყოფა ხორციელდება შემდეგი სახით:

| |
|---|
| თავი 1 |
| 1.1.ქვეთავი |
| 1.2.ქვეთავი |
| თავი 2 |
| 2.1. ქვეთავი |
| 2.2. ქვეთავი |
| და ა.შ. |

ძირითად ნაწილში მოყვანილ თავებს და ქვეთავებს უნდა ჰქონდეს დასახელებები. ყოველი შემდეგი თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი იმავე გვერდიდან ორი ინტერვალის დაშორებით.

9.11. დასკვნა აჯამებს მიღებულ კვლევის შედეგებს, ადგენს მათ სავარაუდო ღირებულებას შესაბამისი მეცნიერების/ დისციპლინის ფარგლებში და წარმოადგენს შემუშვებულ რეკომენდაციებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

9.12. გამოყენებული ლიტერატურა მოიცავს ნაშრომის ტექსტში ციტირებული ლიტერატურის სიას. ნაშრომში მითითებული ლიტერატურა უნდა განთავსდეს ამ ნაშრომების ავტორთა გვარების პირველი ასოს ანბანური თანმიმდევრობის შესაბამისად: თავდაპირველად მიეთითება ქართულენოვანი ლიტერატურა ანბანურად, შემდგომ ლათინურენოვანი ლიტერატურა ანბანურად, შემდგომ რუსულენოვანი ლიტერატურა ანბანურად.

9.13. დანართი მოიცავს დამატებით საილუსტრაციო მასალას, რომელიც მეორეხარისხოვანია, მაგრამ გამოიყენება ნაშრომის შესრულებისას, მაგ.: კითხვარი, სტატისტიკური მონაცემები, ცხრილები, პროცედურის ანალიზის დეტალები და ა. შ.

9.14. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 12 000 სიტყვას.

9.15. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი შესრულებული უნდა იყოს წინამდებარე დოკუმენტის მე-13 მუხლით განსაზღვრული აკადემიური სტილის შესაბამისად; საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი უზრუნველყოფს აკადემიურ სტილთან შესაბამისობის ექსპერტიზას და რეკომენდაციებს აწვდის მაგისტრანტს ნაშრომის/პროექტის წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

9.16. მაგისტრანტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის პრეზენტაცია წარუდგინოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

9.17. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის პრეზენტაციისთვის მაგისტრანტს ეძლევა 15-20 წუთი.

9.18. მაგისტრანტი უფლებამოსილია მოითხოვოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის აუდიოჩანაწერის წარმოება, რასაც უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი. აღნიშნულის თაობაზე მაგისტრანტი ვალდებულია საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს აცნობოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვამდე მინიმუმ 2 კალენდარული დღით ადრე.

**მუხლი 10. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება**

10.1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვაზე სამაგისტრო სწავლების დებულების 12.1 მუხლით განსაზღვრული სისტემის შესაბამისად.

10.2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტი შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

| კომპონენტი | კრიტერიუმი | მაქსიმალური შეფასება |
|---|---|---|
| ნაშრომის შინაარსობრივი | ნაშრომის შინაარსი | 25 ქულა |

| | | |
|---|---|---|
| მხარე | ორგანიზებულია მკაფიოდ და ლოგიკურად | |
| კვლევის შედეგები, ანალიზი და დასკვნა | კვლევის შედეგები ლოგიკურად ადასტურებს ან უარყოფს დასმულ ჰიპოთეზას; ანალიზი სიღრმისეული, დეტალური, თანმიმდევრული და კრიტიკულია; დასკვნა ლოგიკური და არგუმენტირებულია, ასახავს შემდგომი კვლევის პერსპექტივებს; შედეგები რელევანტური და მისაღებია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის | 25 ქულა |
| წერილობითი ტექსტი | ლექსიკა მრავალფეროვანია; სინტაქსური კონსტრუქციები გამართულია; სტილი ადექვატურია; ტექსტი მკაფიოდაა სტრუქტურირებული | 25 ქულა |
| პრეზენტაცია | საპრეზენტაციო ტექსტი ლაკონური და მკაფიოდ სტრუქტურირებულია; ტექსტუალურ ნაწილთან; პრეზენტატორი თავისუფლად ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან; პრეზენტაციის და დისკუსიის მანერა შეესაბამება ეთიკურ | 15 ქულა |

| | | |
|---|---|---|
| | და აკადემიურ სტანდარტებს | |
| დისკუსია | საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხი ადეკვატური, ამომწურავი და დასაბუთებულია და აჩვენებს საკითხის შესახებ სტუდენტის სიღრმისეულ ცოდნასა და გაცნობიერებას | 10 ქულა |

10.3. ამავე მუხლი მე-3 პუნქტში მოცემული თითოეული კრიტერიუმი ფასდება შემდეგნაირად:

სტუდენტი სრულად ფლობს საჭირო ცოდნას, მსჯელობა  თანმიმდევრული და ლოგიკურია, დასკვნები დასაბუთებულია -100%.

სტუდენტი ფლობს საჭირო ცოდნის მნიშვნელოვან ნაწილს, მსჯელობა საკმარისად თანმიმდევრული და ლოგიკურია, დასკვნები დასაბუთებულია - 75%.

სტუდენტი ნაწილობრივ ფლობს საჭირო ცოდნას, მსჯელობა მეტნაკლებად თანმიმდევრული და ლოგიკურია, დასკვნები მეტ დასაბუთებას საჭიროებს - 50%.

სტუდენტის ინფორმაცია თემატიკაზე მწირია, მსჯელობა არათანმიმდევრული და ნაკლებად ლოგიკურია, დასკვნები დაუსაბუთებელია - 25%.

სტუდენტი სრულიად არ ფლობს თემატიკას - 0%.

10.4. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება ხორციელდება საბჭოს თავჯდომარისა და ექსპერტის მიერ ინდივიდუალურად. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება წარმოადგენს ამავე მუხლის მე-3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტის საშუალო არითმეტიკულ ქულათა ჯამს.

10.5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტისა და საბჭოს თავჯდომარის შეფასება ფიქსირდება წინამდებარე დოკუმენტის 14.4 მუხლით გათვალისწინებულ ფორმაში და დასტურდება ხელმოწერით.

10.6. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში წინამდებარე დოკუმენტის მუხლით 2.1 გათვალისწინებული ეტაპების დაცვით, ხოლო 40 და ნაკლები ქულით შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

## მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების გასაჩივრება

11.1. მაგისტრანტს უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების გაცნობიდან 5 კალენდარული დღის ვადაში MYUG სისტემის გამოყენებით სკოლის დირექტორის სახელზე წარადგინოს განაცხადი შეფასების გასაჩივრების შესახებ.

11.2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალიწინებულ განაცხადში მაგისტრანტმა უნდა გამოკვეთოს და დაასაბუთოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების კომპონენტებთან და კრიტერიუმებთან განხორციელებული შეფასების შეუსაბამობა. დაუსაბუთებელი განაცხადი არ მიიღება.

11.3. სკოლის დირექტორი 5 კალენდარული დღის ვადაში განიხილავს განაცხადს და მისი მიღების შემთხვევაში, ქმნის სააპელაციო კომისიას არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრი. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ორი პირი. სააპელაციო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავჯდომარეს და სხდომის მდივანს.

11.4. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია განცხადების ავტორისგან, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრებისგან, საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერისგან გამოითხოვოს შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მოიწვიოს აღნიშნული პირები ზეპირ სხდომაზე.

11.5. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისია მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი/გამოთხოვილი დოკუმენტაცია საკმარისია დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად, იგი უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

11.6. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეცვალოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს შეფასება ან უარი უთხრას მაგისტრანტს განცხადების დაკმაყოფილებაზე.

11.7. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კონსენსუსის გზით. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

11.8. სააპელაციო კომისია განცხადებას იხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შენახვა და გამოყენება**

12.1. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცეს სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი ელექტრონული ფორმით.

12.2. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ატვირთვას უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში.

12.3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განათავსოს სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი ბიბლიოთეკაში ან/და ვებ-სივრცეში, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით გამოიყენოს კვლევით საქმიანობაში ავტორთან დამატებითი შეთანხმების გარეშე.

**მუხლი 13. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ტექნიკური გაფორმება**

13.1. საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დასაწერად გამოიყენება: ამერიკული ფსიქოლოგიის ასოციაციის მიერ ჩამოყალიბებული წერის სტილი -APA - წერითი ნაშრომის/პროექტის გაფორმების ზოგადი წესის ნაწილში, ოქსფორდის უნივერსიტეტის სამართლებრივი წყაროების ციტირების სტანდარტი-ნაშრომში გამოყენებულ წყაროთა მონაცემების წარმოდგენის ნაწილში.

13.2. ნაშრომის/პროექტის გაფორმების ზოგადი წესი:

13.2.1.ფორმატი - (A 4 ), გამოყენებული შრიფტი (ქართული - Sylfaen; ინგლისური - Arial/Times New Romans).

13.2.2. შრიფტის ზომა - მთლიანი (სათაური, ტექსტი, გვერდი...) ნაშრომისთვის (11), პწკარებს შორის მანძილი (1.5), ველების დაცვა (2.54 სმ/1 ინჩი). გრძელი ცხრილები - პწკარებს შორის მანძილი (1.0)

13.2.3. ნაშრომის დანომვრა - ნაშრომი ინომრება შესავალი გვერდიდან თანმიმდევრულად არაბული ციფრებით იმავე (ტექსტის) შრიფტითა და ზომით გვერდის ზედა კუთხეში, მარჯვნივ. გამონაკლისი თავფურცელია, რომელზეც გვერდი არ აღინიშნება.

13.2.4. ნაშრომის ფორმა - ტექსტი, ცხრილი, ილუსტრაცია იწყება გვერდის დასაწყისიდან, დაუშვებელია სივრცის გამოტოვება. ყოველი ახალი თავი იწყება ახალი გვერდიდან.

13.2.5. APA-ს სტილის მიხედვით აუცილებელია, ნაშრომს გააჩნდეს თავფურცელი, რომელიც გარკვეული თანმიმდევრობით იქნება ორგანიზებული.

13.2.6. საბეჭდი სივრცის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნაშრომის ტექსტი დაცილებული უნდა იყოს გვერდის მარჯვენა და მარცხენა ნაპირიდან 2.54 სმ. (1 ინჩი) მანძილზე.

13.2.7. თავფუცლის ზედა მარჯვენა კუთხეში განთავსებულია ე. წ. თანმდევი სათაური, რომელიც სრული სათაურის შემოკლებულ ვერსიაა და გვერდის აღმნიშვნელი ციფრიდან ხუთი სივრცობრივი ერთეულით არის დაცილებული. სიტყვების რაოდენობა შეზღუდულია (50 სიმბოლომდე) თანმდევი სათაური უნდა გამოჩნდეს აკადემიური ნაშრომის ყოველ გვერდზე. ის ნაშრომთან შედარებით მცირე შრიფტით (8) და დახრილად (Italic) იწერება.

13.2.8. ნაშრომის სრული სათაური თავფურცლის ზედა მესამედში ფორმდება. სათაურის ქვემოთ,ორი-სამი ინტერვალის დაშორებით, იწერება ნაშრომის ავტორის სახელი და გვარი; შემდეგ - უნივერსიტეტისა და იმ სკოლის დასახელება, რომლისთვისაც შეიქმნა რეფერატი; შემდეგ ოთხი-ხუთი ინტერვალის დაშორებით ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი და გვარი. თავფურცლის ბოლოს, მის შუა ნაწილში იწერება ნაშრომის შესრულების ადგილი და ქვემოთ - თარიღი (წელი).

13.3. ციტირება:

**პირველადი წყაროები**

არ გამოიყენოთ წერტილი აბრევიატურებში. დააშორეთ ციტატები წერტილ-მძიმეთი.

**საქმეები**

მიუთითეთ მხარეთა სახელები, ნეიტრალური ციტირება, სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებული. ნეიტრალური ციტირების არარსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებული, ხოლო შემდეგ ფრჩხილებში სასამართლოს სახელწოდება. როდესაც საქმე არ არის გამოქვეყნებული სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებულში, დიდი ბრიტანეთის სასამართლოების გადაწყვეტილებების შემთხვევაში მიუთითეთ „ER" ან „WLR", ან სპეციალური ანგარიში.

მინიშნებისას პარაგრაფის ნომერი მიუთითეთ ციტატის ბოლოს კვადრატულ ფრჩხილებში. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებას არ აქვს პარაგრაფის ნომრები, სასამართლოს სახელწოდების შემდეგ მიუთითეთ შესაბამისი გვერდები.

**დებულებები და ნორმატიული ინსტრუმენტები**

| |
|---|
| უზენაესობის აქტი 1558 |
| ადამიანის უფლებათა აქტი 1998, 15 (1) (ბ) |
| ბრძანება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის ჯარიმის შესახებ (მინიმალური ასაკის ცვლილება) 2004, SI 2004/3166 |

**ევროკავშირის კანონმდებლობა და საქმეები**

| |
|---|
| ევროკავშირის ხელშეკრულების კონსოლიდირებული ვერსია [2008] OJ C115 / 13 |
| საბჭოს რეგულაცია (EC) 139/2004 საწარმოებს შორის კონცენტრაციის კონტროლის შესახებ (EC შერწყმის რეგულაცია) [2004] OJ L24 / 1, მუხლი 5 |
| საქმე C-176/03 კომისია საბჭოს წინააღმდეგ [2005] ECR I-7879, პარაგრაფები 47-48 |

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**

| |
|---|
| ომოჯუდი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (2009) 51 EHRR 10 |
| ოსმანი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ ECHR 1998–VIII 3124 |
| ბალოგი უნგრეთის წინააღმდეგ №47940/99 (ECHR, 2004 წლის 20 ივლისი) |
| სიმპსონი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (1989) 64 DR 188 |

**წიგნები**

მიუთითეთ ავტორის სახელი იმავე ფორმით, როგორიც ეს პუბლიკაციაშია მოცემული, გარდა ბიბლიოგრაფიის ნაწილისა, სადაც უნდა მიუთითოთ მხოლოდ გვარი, რომელსაც მოყვება სახელის ინიციალი (ან ინიციალები). მიუთითეთ შესაბამისი ინფორმაცია გამოცემაზე, მთარგმნელებზე და სხვ. გამომცემლობის მითითებამდე, ხოლო გვერდის ნომერი ციტირების ბოლოს ფრჩხილების დახურვის შემდეგ.

| |
|---|
| თომას ჰობსი, ლევიათანი (პირველად გამოქვეყნდა 1651 წელს, პინგვინი 1985) 268<br><br>გარეტ ჯონსი, გოფი და ჯონსი: რესტიტუციის სამართალი (1-ლი დანართი, მე-7 გამოცემა, სვიტი და მაქსველი 2009)<br><br>კ. ცვაიგერტი და ჰ. კოტცი, შესავალი შედარებით სამართალში (ტონი ვეირის თარგმანი, მე-3 გამოცემა, OUP 1998) |

**მეორადი წყაროები**

| |
|---|
| ფრენსის როუზი, "სახეობათა ევოლუცია" წიგნში ენდრიუ ბეროუზი და ალან როდჯერი (რედ), სამართლის კარტოგრაფირება: პიტერ ბირკსის ხსოვნისადმი მიძღვნილი ესეები (OUP 2006) |

**ენციკლოპედია**

| |
|---|
| ჰალსბერის კანონები (მე-5 გამოცემა, 2010) ტომი 57, პარაგრაფი 53 |

**ჟურნალის სტატიები**

| |
|---|
| პოლ კრეიგი, თეორია, „წმინდა თეორია" და ღირებულებები საჯარო სამართალში [4] PL 440<br><br>მინიშნებისას დასვით მძიმე სტატიის პირველ გვერდსა და იმ გვერდს შორის, რომლის მითითებაც გსურთ.<br><br>ჯ.ა.გ. გრიფიტი, "საერთო კანონი და პოლიტიკური კონსტიტუცია" (2001) 117 LQR 42, 64 |

**ონლაინ ჟურნალები**

| |
|---|
| გრეჰემ გრინლეფი, "იურიდიული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გლობალური განვითარება" (2010) 1 (1) EJLT <http://ejlt.org//article/view/17> ხელმისაწვდომი 2010 წლის 27 ივლისის მდგომარეობით |

**ნორმატიული აქტები და სამართლის კომისიების ანგარიშები**

| |
|---|
| საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი, მსოფლიო სიღარიბის აღმოფხვრა: ჩვენი საერთო მომავლის შექმნა (თეთრი წიგნი, Cm 7656, 2009) თავი 5<br><br>სამართლის კომისია, ქრთამის რეფორმირება (სამართლის კომისია No 313, 2008) პარაგრაფები 3.12-3.17 |

**საიტები და ბლოგები**

| |
|---|
| სარა კოული, „ვირტუალური მეგობარი სამსახურიდან ათავისუფლებს დასაქმებულს" (შიშველი კანონი, 2009 წლის 1 მაისი) <www.nakedlaw.com/2009/05/index.html> ხელმისაწვდომი 2009 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით |

**გაზეთის სტატიები**

| |
|---|
| ჯეინ კროფტი, "უზენაესი სასამართლოს გაფრთხილება ხარისხზე" Financial Times (ლონდონი, 2010 წლის 1 ივლისი) 3 |

**საერთაშორისო სამართლის წყაროების ციტირება**

**ა) ხელშეკრულებები და სხვა**

საერთაშორისო სამართლის ამერიკული საზოგადოება გვთავაზობს საერთაშორისო სამართლის წყაროების სასარგებლო გზამკვლევს (www.eisil.org) და ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოვახდინოთ საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა ტიპის წყაროების ციტირება. ზოგადი პრინციპების ნაწილ III ბ-ში მოცემული "სხვა წყაროები" მოიცავს იმ წყაროების ციტირების ინსტრუქციას, რომლებიც არ არის განხილული ამ სექციაში.

**საერთაშორისო ხელშეკრულებები**

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები უერთდებიან ხელშეკრულებას (რაც მრავალმხრივი ხელშეკრულებების დიდ ნაწილში ხდება), მიუთითეთ თარიღი, როდესაც ხელშეკრულებ გაიხსნა ხელმოსაწერად. წინააღმდეგ შემთხვევაში მიუთითეთ მისი ხელმოწერის ან მიღების თარიღი. ამის შემდეგ, თუ შესაძლებელია, მიუთითეთ მისი ძალაში შესვლის თარიღი. იმ შემთხვევაში თუ მოცემულია როგორც ხელშეკრულების მიღების, ასევე მისი ხელმოსაწერად გახსნის თარიღი, მიუთითეთ ორივე ამ თანმიმდევრობით. მრავალმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში არა არის აუცილებელი მასში მონაწილე მხარეების მითითება, თუმცა ორმხრივი ხელშეკრულების დროს მხარეების სახელწოდებები უნდა მიეთითოს ხელშეკრულების სახელწოდების შედეგ ფრჩხილებში და მხარეების სახელწოდებებს შორის ტირეს გამოყენებით.

სადაც შესაძლებელია მიუთითეთ ხელშეკრულებების სერიები შემდეგი უპირატესობის რიგის დაცვით:

- პირველადი საერთაშორისო ხელშეკრულების სერია, მაგალითად, UNTS (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულების სერია), CTS (კონსოლიდირებული ხელშეკრულების სერია) ან LNTS (ერთა ლიგის ხელშეკრულების სერია);
- ერთ-ერთი მხარე სახელმწიფოს ოფიციალური ხელშეკრულების სერია, მაგალითად, UKTS (დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების სერია); ATS (ავსტრალიის ხელშეკრულების სერია);
- სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების სერიები (მაგ. ბრიტანული და უცხოური სახელმწიფოს დოკუმენტები).

იმ შემთხვევაში თუ მისაღებია, არაფორმალური/შემოკლებული სახელწოდება შეიძლება მიეთითოს ფრჩხილებში ზუსტ მინიშნებამდე და გამოყენებულ იქნას შემდგომი მითითებისას. შეიტანეთ ეს აბრევიატურები თქვენი აბრევიატურების სიაში. სტანდარტული შემოკლებები შეგიძლიათ იხილოთ დანართში.

ხელშეკრულების მუხლზე მინიშნებისას მითითებული უნდა იყოს მხოლოდ ნომერი და არა მუხლის სათაური (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შეგიძლიათ ტექსტში გამოიყენოთ „მუხლი“ ან მისი აბრევიტურა, ხოლო სქოლიოში აბრევიატურა.

ხელშეკრულებები ციტირება უნდა მოხდეს დასკვნითი აქტიდან (იმ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი ხელშეკრულების ტექსტამდე ქვეყნდება). ამის მაგალითია კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, სადაც აღნიშნული დოკუმენტების გამოქვეყნება მოხდა შემდეგნაირად: დასკვნით აქტი - 189 UNTS 137, ხოლო ხელშეკრულების ტექსტი მოცემული იყო 189 UNTS 150. ასეთ შემთხვევაში ტექსტის სწორი ციტირება იქნება 189 UNTS 137. (არ არის აუცილებელი ციტირებისას სიტყვა "დასკვნითი აქტი" შევიტანოთ ხელშეკრულების სათაურში).

1960-იანი წლების შემდეგ დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებიც ჯერ არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ სერიებში, წყაროდ მიეთითება საერთაშორისო სამართლის მასალები (ILM). 2000 წლის იანვრამდე საერთაშორისო სამართლებრივი მასალების ტომეული აღნიშნული იყო რომაული ციფრებით. თუმცა საერთაშორისო სამართლის მასალები (ILM) საკუთარი წყაროს ციტირებისას მიუთითებდა არაბულ ციფრებს. შესაბამისად, მითითებისას გამოიყენეთ არაბული ციფრები. ციტირებისას მისანიშნებლად გამოიყენეთ ტექსტის დასაწყისი გვერდი და არა შესავალი კომენტარი ან შენიშვნა.

**(ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებების სერია**

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს, ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს) 999 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებების სერია (UNTS) 171 (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICCPR))

კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (მიღებულია 1951 წლის 28 ივლისს, ძალაში შევიდა 1954 წლის 22 აპრილს) 189 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებების სერია (UNTS) 137 (ლტოლვილთა კონვენცია) მუხლი 33

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 217-ე რეზოლუციით A(III) (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR)) მუხლი 5

ოქმი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (მიღებულია1967 წლის 31 იანვარს, ძალაში შევიდა 1967 წლის 4 ოქტომბერს) 606 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებების სერია (UNTS) 267 (ოქმი) მუხლი 2

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (მიღებულია 1999 წლის 9 დეკემბერს, ხელმოსაწერად გაიხსნა 2000 წლის 10 იანვრისთვის) (2000) 39 საერთაშორისო სამართლის მასალები (ILM) 270

(ბ) ერთა ლიგის ხელშეკრულებებისა და კონსოლიდირებული ხელშეკრულების სერია (LNTS, CTS)

**შენიშვნა:** ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი არ არის ხელისწავდომი, ასე რომ მიუთითეთ მხოლოდ ხელშეკრულების ხელმოწერის ან მიღების თარიღი.

კონვენცია მონობის შესახებ (მიღებულია 1926 წლის 25 სექტემბერს, ძალაში შევიდა 1927 წლის 9 მარტს) 60 LNTS ერთა ლიგის ხელშეკრულებების სერია (LNTS) 253

დროებითი შეთანხმება გერმანიიდან მომავალი ლტოლვილების სტატუსის შესახებ (ხელი მოეწერა 1936 წლის 4 ივლისს) 3952 ერთა ლიგის ხელშეკრულებების სერია (LNTS) 77

მსგავსად ხდება ასევე კონსოლიდირებული ხელშეკრულებების სერიის (ერთა ლიგამდე დადებული ხელშეკრულებების) ციტირება. მიუთითეთ ხელშეკრულების სათაური ისე, როგორც მოცემულია კონსოლიდირებული ხელშეკრულებების სერიაში, OSCOLAS-ს (ოქსფორდის სტანდარტი იურიდიული წყაროების ციტირებისათვის) პუნქტუაციის მიხედვით.

კონვენცია დიდ ბრიტანეთს, იაპონიას, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ზღვის კატების შესანარჩუნებლად და დასაცავად საჭირო ზომების მოთხოვნის შესახებ (ხელი მოეწერა 1911 წლის 7 დეკემბერს) (1911) 214 კონსოლიდირებული ხელშეკრულების სერია (CTS) 80

(გ) ორმხრივი ხელშეკრულებები

დაკონკრეტების საჭიროების შემთხვევაში, ორმხრივი ხელშეკრულების მხარეები მიუთითეთ ფრჩხილებში ხელშეკრულების სახელწოდების შემდეგ.

შეთანხმება ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის მნიშვნელობით ლტოლვითა დროებით ცხოვრების შესახებ (1951 წლის 28 ივლისის ჟენევის კონვენცია და 1967 წლის 31 იანვრის ოქმი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ) (საფრანგეთი-ავსტრია) (მიღებულია 1974 წლის 21 ოქტომბერს, ძალაში შევიდა 1975 წლის 24 ივლისს) 985 UNTS (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებების სერია) 303.

შეთანხმება რეაბილიტაციისა და განვითარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ (ავსტრალია-ნაურუ) (1994 წლის 5 მაისი) ავსტრალიიის ხელშეკრულებების სერია (ATS) 1994 15.

### (დ) GATT/WTO შეთანხმებები (გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ/მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია)

GATT/WTO-ს ხელშეკრულებებს ეწოდება „შეთანხმებები". მათი განხილვა და მიღება ხდება სესიების დროს, რომლებსაც „რაუნდები" ეწოდება. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები ასევე იღებენ შესაბამის ოფიციალურ დოკუმენტებს, როგორებიცაა განმარტებითი შენიშვნები, გადაწყვეტილებები, დეკლარაციები, ურთიერთგაგების მემორანდუმები და ცვლილებები. შეთანხმებები და დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტები ხშირად მოიხსენიება ერთობლივად, როგორც „სამართლებრივი ინსტრუმენტები" ან „სამართლებრივი ტექსტები". მხოლოდ 1995 წლის 1 იანვრიდან წარმოებული დოკუმენტები მიეკუთვნება WTO-ს (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია), ხოლო მანამდე არსებული დოკუმენტები მიეკუთვნება GATT-ის (გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ) დოკუმენტაციას.

მიუხედავად იმისა, რომ GATT-ის დოკუმენტების გარკვეული რაოდენობა შეგვიძლია ვიხილოთ WTO-ს (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) მონაცემთა ონლაინ ბაზაში, უპირატესად გამოსაყენებელ წყაროს ამ შემთხვევაში წარმოადგდენს BISD (ძირითადი ინსტრუმენტები და რჩეული დოკუმენტები). BISD-ს ციტირება შეგიძლიათ იხილოთ ისეთ საძიებო სისტემებში, როგორებიცაა Lexis-Nexis და Westlaw. 1995 წლიდან ოფიციალური დოკუმენტების წყარო არის WTO-ს მონაცემთა ონლაინ ბაზა (http://docsonline.wto.org). 1995 წლის შემდეგ დათარიღებული დოკუმენტების მინიშნებისას ციტირება გააკეთეთ WTO-ს ონლაინ ბაზიდან.

GATT- ის დეკლარაციის შემდეგი მაგალითი მიუთითებს ხელშეკრულების მიღების თარიღზე. 26S მიანიშნებს 26-ე დანართზე, ხოლო 205 - დეკლარაციის პირველ გვერდზე.

დეკლარაცია საგადამხდელო ბალანსის მიზნით მიღებული სავაჭრო ზომების შესახებ (1979 წლის 28 ნოემბერი) ძირითადი ინსტრუმენტები და რჩეული დოკუმენტები (BISD) 26S/205, 208

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ონლაინ მონაცემთა ბაზიდან ციტირების შემდეგი მაგალითში მოცემულია ხელმოწერის თარიღი. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვრიდან;

შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ (1994 წლის 15 აპრილი) LT/UR/A-1A/2 მუხლი 2 http://docsonline.wto.org.

## 2. რეგიონალური ხელშეკრულებები

### (ა) ევროპული ხელშეკრულებები

ხელშეკრულების პირველივე მინიშნებისას მიუთითეთ ხელშეკრულების როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური/შემოკლებული სახელწოდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). არაფორმალური/შემოკლებული სახელწოდება მიუთითეთ ფრჩხილებში ზუსტ მინიშნებამდე. შემცირებული დასახელებები, რომლებიც მოყვანილია ქვემოთ განხილულ მაგალითებში განკუთვნილია მხოლოდ სახელმძღვანელოდ. ავტორებს შეუძლიათ თავად შექმნან საკუთარი აბრევიატურები ევროპული ხელშეკრულებებისთვის.

